AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

No.221027-001

27.10.2022წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის ანგარიშში დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით, თქვენს 20.10.2022 წლის N21/6257 წერილში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით წარმოგიდგენთ დოკუმენტაციის განახლებულ ვერსიას. ამასთანავე ქვემოთ მოცემულია ჩვენი პასუხები წერილში მოცემულ თითოეულ საკითხზე.

საკითხი I - სკრინინგის განცხადების თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ სათავე ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული ნაწილი უკვე აშენებულია, აუზებიანი თევზსავალის ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული თევზსავალი არხით შეცვლა სათავე ნაგებობის პარამეტრების ცვლილებას არ გამოიწვევს და როგორც აღინიშნა თევზსავალის ახალი პროექტი შეთავსებული იქნება არსებულ რეალობასთან. წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ სათავე ნაგებობის ადგილმდებარეობა შეცვლილია, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

ახალქალაქი 1 ჰესის ზემოთხსენებული ცვლილება, არ წარგვიდგენია წინამდებარე სკრინინგის დოკუმენტში, რადგან არ ცვლილების მიხედვით, სათავე ნაგებობა მცირედით გადანაცვლებულია მდინარის მარცხენა სანაპიროს მხარეს და სცდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დამტკიცებულ საზღვრებს (არ ხდება ახალი ტერიტორიის ათვისება), რომელზეც გზშ-ს გაზაზე ჩატარებულია ტერიტორიის დეტალური კვლევები, გარემოზე ზემოქმედების რისკების შეფასება და განსაზღვრულია სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები.

წერილში მოცემული კომენტარის საფუძველზე, აღნიშნული ცვლილება აღწერილია განახლებულ სკრინინგის ანგარიშში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აღნიშნული ცვლილება გამოწვეულ იქნა ფაქტობრივი რელიეფური მდგომარეობიდან, კერძოდ, საწყისი არადეტალური პროექტის მიხედვით სათავე ნაგებობის წყალმიმღების მშენებლობისათვის საჭირო ხდებოდა მდინარე ფარავნის მარცხენა ნაპირზე მდებარე ციცაბო ფერდის ექსკავაცია. აღნიშნული ფერდი წარმოადგენს სოფელ დილისკის დასახლებული ტერიტორიის პლატოს ძირს. შესაბამისად, მისი ექსკავაცია საფრთხეს შეუქმნიდა ხსენებული ფერდის მგდგრადობას. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, დეტალური პროექტირების დროს მოხდა ნაგებობის 6,68 მეტრით აღმოსავლეთით გადაადგილება.

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: tmatitashvili@ais-georgia.ge; ntevdorashvili@ais-georgia.ge

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„27" 10 2022
№ 5941

სათავე ნაგებობის გეოგრაფიული კოორდინატები თავდაპირველი პროექტის და პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით, SHP ფაილების სახით თან ერთვის სკრინინგის ანგარიშს.

საკითხი II - სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სათავე ნაგებობის მიმდებარედ გათვალისწინებული ნაპირსამაგრი ნაგებობის Shp ფაილები;

სათავე ნაგებობის მიმდებარედ გათვალისწინებული ნაპირსამაგრი ნაგებობის SHP ფაილების სახით თან ერთვის სკრინინგის ანგარიშს.

საკითხი III - დაზუსტებას საჭიროებს მშრალი ხევის გადაკვეთაზე გათვალისწინებული წყალგამტარ ნაგებობასთან მოსაწყობი ნაპირსამაგრი ნაგებობის GPS კოორდინატები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ნაპირსამაგრი ნაგებობების დაზუსტებული GPS კოორდინატები UTM WGS84 სისტემის 38N ზონაში:

ნაგებობა	X	Y
მშრალი ხევის წყალგამტარი ნაგებობის დასაწყისი	371963.36	4589266.26
მშრალი ხევის წყალგამტარი ნაგებობის დასასრული	371995.38	4589253.29
მშრალი ხევის გადაკვეთაზე გათვალისწინებული წყალგამტარ ნაგებობასთან მოსაწყობი ნაპირსამაგრი ნაგებობა	371989.75	4589236.90
	371998.84	4589267.84

წერილს თან ერთვის:

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის" (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშის კორექტირებული ვერსია 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიების GIS კოორდინატები SHPs ფაილების სახით თავდაპირველი პროექტის და საპროექტო ცვლილებების მიხედვით CD დისკზე.

პატივისცემით,

თეიმურაზ მათითაშვილი

დირექტორი

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: tmatitashvili@ais-georgia.ge; ntevdorashvili@ais-georgia.ge